სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

22 მაისი 2026

N 21/7242

შპს "დე გე დეს"

მის: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი,
ვარკეთილი 3-ის დას. III მ/რ, კორპ. 308, ბ. 29.

ელ.ფოსტა: mr.koridze@yahoo.com

Davitmetreveli87@yahoo.com

greenadvisorsteam@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ - სააგენტო) განიხილა ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2026 წლის 30 მარტის N4616 განცხადება და დაგეგმილი საქმიანობის (გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვების ტერიტორიაზე ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და გაცნობებთ, რომ დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

1. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ობიექტის საწარმოო მიზნებისთვის, მათ შორის სამსხვრევ-დამახარისხებელ ტექნოლოგიურ ხაზის დანამვის მიზნით წყლის აღება ხორციელდება საწარმოდან 400 მეტრის დაცილებით მდებარე ტბორიდან (ს/კ: 81.07.08.493, ტბორი წარმოდგენილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე), რომელიც თავის მხრივ მარაგდება უსახელო ღელედან. დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს წყალაღების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, ტბორის მესაკუთრესთან შეთანხმების საკითხი, ასევე ინფორმაცია წყალაღების (მათ შორის GPS კოორდინატები) და საწარმომდე წყლის მიწოდების ტექნიკური საშუალებების შესახებ, (შესაბამისი Shp ფაილებით);
2. ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის მავნე ნივთიერებათა წყაროების დაანგარიშების ნაწილში, გ-11 წყაროს (ასფალტის საწარმოს მიმღებ ბუნკერებში ჩაყრა), ინერტული მასალების, აღდგენილი მასალების და ე.წ. ნაფრეზის ასფალტის ქარხნის ბუნკერებში ჩაყრისას დაანგარიშება შესრულებულია 39500 ტ/წელ რაოდენობის შესაბამისად, ხოლო ამავე ნაწილში მითითებულია წლიური რაოდენობა 187200 ტონა. აღნიშნულიდან გამომდინარე საკითხი საჭიროებს ზდგ-ის ნორმების პროექტში დაზუსტებას/კორექტირებას;
3. ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ფილერის (მინერალური ფხვნილის) სილოსიდან (გ-2) მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მაჩვენებლების საანგარიშო კოეფიციენტი (0.08) საჭიროებს დასაბუთებას/დაზუსტებას და შესაბამისად მეთოდური სახელმძღვანელოს მითითებას;
4. საჭიროა წარმოდგენილი იყოს განახლებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, სადაც ასევე დამატებით იქნება გათვალისწინებული ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, საწარმოდან 300მ მანძილზე მდებარე უახლოესი საცხოვრებელი სახლის საზღვარზე და გაფრქვევის წყაროს ასფალტშემრევის (გ-1) მილზე.

5. ანგარიშის თანახმად, სამსხვრევ-დამახარისხებელი ტექნოლოგიური ხაზის ფუნქცინირების პროცესში ატმოსფერული ჰარის მტვრით დაბინძურების პრევენციის მიზნით ტექნოლოგიური ერთეულები აღჭურვილი იქნება წყლის დანამვის სისტემით (ე.წ სპრინკლერებით), დაზუსტებას და დეტალურად განხილვას საჭიროებს აღნიშნული სპრინკლერების მოწყობის საკითხი კონკრეტული ტექნოლოგიური უბნებზე, კერძოდ, ნედლეულის ან/და შუალედური პროდუქტის მსხვრევის, გაცრა/დახარისხებისას, ასევე ნედლეულის ან/და შუალედური პროდუქტის სამსხვრევი დანადგარის მიმღებ ბუნკერში ჩაყრამდე. იმ შემთხვევაში თუ ყველა უბანი არ იქნება აღჭურვილი ზემოაღნიშნული წყლის დანამვის სისტემით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული უბნების/ოპერაციების ინკაფსულირების ან/და წარმოქმნილი მტვრის აირმტვერდამჭერი მოწყობილობის (რაც დოკუმენტით არ არის გათვალისწინებული) საშუალებით შეკრება/დაჭერის შესახებ;
6. საჭიროა წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ღიად დასაწყობებული ნედლეულის ამტვერების მაქსიმალურად შემცირების ღონისძიებების შესახებ, მათ შორის დასაწყობებული გროვების დაფარვა-ეკრანირების, დამცავი ზოლებით/კედლებით შემოღობვის ან ქარისგან დამცავი ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერებით შემოზღუდვის უზრუნველყოფის საკითხები;
7. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ამოსაწმენდ ორმოში, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ჩამდინარე წყლების რაოდენობა და ამოსაწმენდი ორმოს პარამეტრები.

გთხოვთ, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა. დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე ექსპლუატაციის პირობის ცვლილების თაობაზე თქვენ 2026 წლის 30 მარტის განცხადებასთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეჩერებულია და სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/7242-21-2-202605221202

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE